დადგენილება:**დ-81. 81232492**
თარიღი:**06/09/2023**

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №24

,,ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის შევსების, ჩაბარების, წარმოების და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ'' ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 2 ივნისის №13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

,,ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

,,ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის შევსების, ჩაბარების, წარმოების და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ'' ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 2 ივნისის №13 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 03/06/2021წ. სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.116.016508) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. **დადგენილებით დამტკიცებული დანართი №2-ის მე-2 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„1. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენაზე უფლებამოსილნი არიან ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის საჯარო მოსამსახურეები''.

2. **დადგენილებით დამტკიცებულ დანართი №2-ს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-10 მუხლი:**

„მუხლი 10. საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის გასაჩივრების წესი

1. ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 209^3 მუხლის მე-4 ნაწილით განსაზღვრულ ადმინისტრაციული სამართალდარღვევებზე შედგენილი საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმები საჩივრდება ზემდგომ ორგანოში (თანამდებობის პირთან) მისი მხარისთვის ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში.

2. ნარჩენების მართვის კოდექსით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის შედგენილი სამართალდარღვევის ოქმი შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობიდან 10 დღის ვადაში რაიონულ სასამართლოში.

3. საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე ზედამხედველობის ორგანოს მიერ შედგენილი სამართალდარღვევის ოქმი შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან 15 დღის ვადაში ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში (ზემდგომ თანამდებობის პირთან)''.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ჭაბუკი ჭაბუკიანი

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი